თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5877252

ნომერი: AR1887533

თარიღი : 17.03.2022

გაცემის თარიღი : 01.04.2022

გაცნობის თარიღი : 01.04.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 17 მარტის №AR1887533 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას მშენებლობის ეტაპების ვადის მითითების ნაწილში.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მარტის №5865818 ბრძანებით და 2022 წლის 29 მარტის №5870998 გადაწყვეტილებით დაგიდგინდათ ხარვეზები და დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია. კერძოდ, დაგევალათ შესწორებული მშენებლობის ორგანიზების პროექტის წარმოდგენა, აღწერილობით ნაწილში მშენებლობის ეტაპების განხორციელების ვადების გასწორებით (სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებით შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად).
განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში კვლავ გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ: წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტში, აღწერილობით ნაწილში კვლავ არ არის გასწორებული მშენებლობის ეტაპების განხორციელების ვადები სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებით შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ რამედნჯერმე მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 17 მარტის №AR1887533 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.